პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

___ სექტემბერი, 2019 წელი ქალაქი ბათუმი

**„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

**მუხლი 1.**

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №7 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 03/05/2017, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016311) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის „ბ.ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ზ) მე-7 პუნქტში შეიტანება: ჯარიმის ოდენობა 20 (ოცი) ლარი;“

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-3 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მეორე გვერდზე დატანილია შემდეგი ტექსტი:

საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება).

მოქალაქეს მიეცა განმარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებებისა და სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების 10-დღიანი ვადის შესახებ.

საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ ამავე კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის პირს დაერიცხება საურავი ჯარიმის ორმაგი ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

**3.** დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი და მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) მე-6 პუნქტში – ჯარიმის ოდენობა 20 (ოცი) ლარი;

6. ელექტრონული საჯარიმო ქვითრის მეორე გვერდზე დატანილია შემდეგი ტექსტი:

ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება).

მოქალაქეს მიეცა განმარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებებისა და სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების 10-დღიანი ვადის შესახებ.

ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ ამავე კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის პირს დაერიცხება საურავი ჯარიმის ორმაგი ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

**4.** დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ჩაბარებიდან 30 დღეში დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევ პირს, ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურიდან მიღებული შესაბამისი ინფორმაციის გათვალისწინებით, დაერიცხება საურავი ჯარიმის ორმაგი ოდენობით.“

**5.** დადგენილების დანართი №2 და დანართი №4 ჩამოყალიბდეს წინამდებარე დადგენილებაზე თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

**საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი**

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონით (გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 05/06/2019; სარეგისტრაციო კოდი: 020000000.05.001.019502; ძალაში შესვლის თარიღი: 04/07/2019) ცვლილება იქნა შეტანილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ა) მიწისზედა ელექტროტრანსპორტით (ტროლეიბუსი, ტრამვაი), ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებით - გამოიწვევს დაჯარიმებას 20 ლარის ოდენობით.

შენიშვნა:

1. მგზავრი ვალდებულია ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ელექტროტრანსპორტით/ავტოსატრანსპორტო საშუალებით მგზავრობისას მგზავრობის დაწყებისთანავე შეიძინოს ბილეთი ან ელექტრონული გადახდის საშუალებით გადაიხადოს მგზავრობის ტარიფით განსაზღვრული თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უბილეთო მგზავრად მიიჩნევა.

2. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამავე ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის პირს დაერიცხება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება;"

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №7 დადგენილებით დამტკიცებული საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმით (დანართი №2) განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობაა 5 (ხუთი) ლარი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილების შედეგად კი საჯარიმო თანხა განისაზღვრა 20 (ოცი) ლარით, ხოლო ჯარიმის განსაზღვრულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში საურა-

ვი განისაზღვრა დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით ნაცვლად 50 (ორმოცდაათი) ლარისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №7 დადგენილებაში ცვლილების მიზანია საჯარიმო თანხის და საურავის თანხის განსაზღვრა.

**ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:**

დადგენილების პროექტის მიხედვით ხდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №7 დადგენილების დანართი 2-ის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება, კერძოდ, ახალი რედაქციით ჩამოყალიბებული დანართი 2-ით (საჯარიმო ქვითარი (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი)) ხდება სანქციის შეფარდება 20 (ოცი) ლარის ოდენობით, ხოლო ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში საურავის დაკისრება შესაბამისი ნორმის საფუძველზე დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით.

**ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

დადგენილების მიღებიდან გამომდინარე არ არის საჭირო რაიმე სახის დამატებითი ხარჯის გაწევა.

**ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:**

დადგენილების პროექტის მიღება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში (ჯარიმის გადახდის შედეგად მიღებული შემოსავალი), ხოლო ხარჯვით ნაწილზე გავლენას არ იქონიებს.

**ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:**

დადგენილების პროექტის მიღება გამოიწვევს ფინანსური შედეგების დადგომას იმ პირთათვის, რომელთა დაეკისრებათ შესაბამისი სანქცია.

**გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:**

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

დადგენილების პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები არ მიღებულა.

ე) პროექტის ავტორი:

დადგენილების პროექტის ავტორია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინის-ტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება.

ვ) პროექტის ინიციატორი:

დადგენილების პროექტის ინიციატორია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

**ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:**

**შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს დირექტორი** **ბადრი ფარტენაძე**

დანართი №2
დამტკიცებულია
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის
№7 დადგენილებით.

**ნაწილი I.** **საჯარიმო ქვითარი**

## ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი № 000000

ბ. ა.

1. ______________________ შედგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)
2. ______________________ შედგენის ადგილი

3. ______________________
შემდგენლის თანამდებობა, სახელი, მამის სახელი და გვარი

4. ______________________
ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის რეკვიზიტები
______________________
(პირადი ნომერი, სახელი და გვარი), მისამართი (რეგისტრაციისა და სხვა)

5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი: ავტობუსის მარშრუტის № __________, ავტობუსის სახელმწიფო №__________, სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი ______________________ დრო: __________, არსი: ______________________

6. პასუხისმგებლობა აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით.

7. ჯარიმის ოდენობა: 20 (ოცი) ლარი

8. ______________________
მოწმის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის რეკვიზიტები
______________________
(პირადი ნომერი, სახელი და გვარი), მისამართი (რეგისტრაციისა და სხვა)

9. ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება: ______________________
______________________
ახსნა-განმარტების არსებობისას მიეთითება მისი რეკვიზიტები, ფურცლების რაოდენობა და იმ პირის თანამდებობა, სახელი და გვარი, რომელმაც ჩამოართვა ახსნა-განმარტება

10. მიმღები მოლარე: ______________________ ხელმოწერა
300693255 — საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი

ოქმის შემდგენელი: ______________________ ხელმოწერა
მოწმე ან სხვა მონაწილე: ______________________ ხელმოწერა და სტატუსი

ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი: ______________________
ხელმოწერა, ხელმოწერაზე ან საჯარიმო ქვითრის ჩაბარებაზე უარის ოქმის შესახებ აღნიშვნა
______________________

**ნაწილი II. საჯარიმო ქვითრის ყუა**

**№ 000000**

ეს ნაწილი რჩება საბანკო დაწესებულებაში.

1. ______________________
გადამხდელის სახელი და გვარი
______________________

2. ______________________
მისამართი

3. 20 (ოცი) ლარი
საჯარიმო თანხის ოდენობა (ციფრებით, სიტყვიერად)

4. საქართველოს ადმ. სამართალდარღვევათა კოდექსის

ა) მუხლი (მუხლები):
______________________

ბ) ნაწილი (ნაწილები):
______________________

გ) ქვეპუნქტი (ქვეპუნქტები):
______________________

5. სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი:

6. 300693255
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი

7. მიმღები მოლარე: ______________________ ხელმოწერა

8. შემომტანი: ______________________ ხელმოწერა

ბ. ა.

საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება).

მოქალაქეს მიეცა განმარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებებისა და სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების 10-დღიანი ვადის შესახებ.

საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ ამავე კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის პირს დაერიცხება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

| | |
|---|---|
| დამკვეთი: | დამამზადებელი: |
| მისამართი: | სფს-ს რეგისტრაციის № |




დანართი №2
დამტკიცებულია
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის
№7 დადგენილებით

**ნაწილი I. საჯარიმო ქვითარი**

**ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი № 000000** ბ. ა.

1. ______ შედგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)
2. ______ შედგენის ადგილი
3. ______ შემდგენლის თანამდებობა, სახელი, მამის სახელი და გვარი
4. ______ ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის რეკვიზიტები
   ______ (პირადი ნომერი, სახელი და გვარი), მისამართი (რეგისტრაციის და სხვა)
5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი: ავტომანქანის მარკა/მოდელი № ______ ავტომანქანის სახელმწიფო № ______, სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი ______ დრო: ______, არსი: ______
6. პასუხისმგებლობა აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით.
7. ჯარიმის ოდენობა: 20 (ოცი) ლარი
8. ______ მოწმის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის რეკვიზიტები
   ______ (პირადი ნომერი, სახელი და გვარი), მისამართი (რეგისტრაციის და სხვა)
9. ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება: ______
   [illegible]
10. მიმღები მოლარე: ______ ხელმოწერა ______ 300693255 საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი

ოქმის შემდგენელი: ______ ხელმოწერა მოწმე ან სხვა მონაწილე: ______ ხელმოწერა და სახელი

ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი: ______ ხელმოწერა, ხელმოწერაზე ან საჯარიმო ქვითრის ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა

**ნაწილი II. საჯარიმო ქვითრის ძირი**

**№ 000000**

ეს ნაწილი რჩება საბანკო დაწესებულებაში.

1. ______ გადამხდელის სახელი და გვარი
2. ______ მისამართი
3. 20 (ოცი) ლარი — საჯარიმო თანხის ოდენობა (ციფრებით, სიტყვიერად)
4. საქართველოს ადმ. სამართალდარღვევათა კოდექსის
   ა) მუხლი (მუხლები):
   ბ) ნაწილი (ნაწილები):
   გ) ქვეპუნქტი (ქვეპუნქტები):
5. სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი:
6. 300693255 საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი
7. მიმღები მოლარე: ______ ხელმოწერა
8. შემოწმება: ______ ხელმოწერა

ბ. ა.

საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება).

მოქალაქეს მიეცა განმარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებებისა და სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების 10-დღიანი ვადის შესახებ.

საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ ამავე კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის პირს დაერიცხება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დამკვეთი: | დამამზადებელი:
---|---
მისამართი: | სფს-ს რეგისტრაციის №

# ᲓᲐᲛᲪᲐᲕᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲡᲜᲐ-ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ

1. უნიკალური ნუმერაცია, რომელიც ულტრაიისფერი დასხივებისას ანათებს.

2. ექსკლუზიური  გილიოშური დამცავი ბადე.

3. ხაზის მაგივრად გამოყენებულია მიკროშრიფტი სადაც იკითხება: ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲑᲐᲗᲣᲛᲘ

დანართი №4

„დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დადგენილება
2017 წლის 28 აპრილი №7

## ელექტრონული საჯარიმო ქვითარი

| ელექტრონული საჯარიმო ქვითარი |
|---|
| № 000000 |
| 1. შედგენის თარიღი |
| 2. შემდგენლის თანამდებობა<br><br>სახელი და გვარი |
| 3. სამართალდამრღვევის პირადი №<br><br>სახელი და გვარი<br><br>რეგისტრაციის მისამართი<br><br>და სხვა |
| 4. სამართალდარღვევის ჩადენის<br><br>ადგილი:<br><br>დრო:<br><br>ავტობუსის მარშრუტის №<br><br>ავტობუსის სახელმწიფო №<br><br>არსი: ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო<br><br>გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა |
| 5. პასუხისმგებლობა აღნიშნული სამართალდარღვევისთვის განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით |
| 6. ჯარიმის ოდენობა 20 (ოცი) ლარი |
| 7. საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი 300693255 |
| 8. მოწმე ან სხვა მონაწილე<br><br>სტატუსი/ხელმოწერა |
| 9. სამართალდამრღვევის ხელმოწერა/<br><br>უარი ხელმოწერაზე ან ჩაბარებაზე |
| 10. შემდგენლის ხელმოწერა |
| 11. შენიშვნა |

ელექტრონული საჯარიმო ქვითრის მეორე გვერდი

ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები:

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება).

მოქალაქეს მიეცა განმარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებებისა და სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების 10-დღიანი ვადის შესახებ.

ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ ამავე კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის პირს დაერიცხება საურავი ჯარიმის ორმაგი ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.